ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 40

6 აგვისტო, 2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

11:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, ბ. დავითულიანი, ე. კუხიანიძე, ვ. ოთარაშვილი, მ. დარჩია, ქ. ჯოხაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. გიორგი ტყემალაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. დავით რურუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. დავით ჭელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. ლევან ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. ანდრია ბასილაია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
2. ირაკლი გვილავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
4. სოფო უგრეხელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
5. ნინო სანადირაძე - ა(ა)იპ თბილისის მუზეუმების გაერთიანების გენერალური დირექტორი;
6. ა(ა)იპ თბილისის მუზეუმების გაერთიანების თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (№12-032020574-03; 23.07.2020).

   მომხსენებელი: ბატონი ირაკლი გვილავა
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
   თანამომხსენებელი: ქალბატონი მაკა ნასრაშვილი
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

2. **საკითხი:** ა(ა)იპ თბილისის მუზეუმების გაერთიანების საქმიანობის ანგარიშის განხილვა.

   მომხსენებელი: ქალბატონი ნინო სანადირაძე
   თანამდებობა: ა(ა)იპ თბილისის მუზეუმების გაერთიანების გენერალური დირექტორი.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და განმარტა, რომ კომისიების მიმდინარე გაერთიანებულ სხდომაზე პირველ საკითხად განიხილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ხოლო მეორე საკითხად - ა(ა)იპ თბილისის მუზეუმების გაერთიანების საქმიანობის ანგარიშის, რომელიც წარმოდგენილი იქნება თამარ მეფის სახელობის დარბაზში.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განსახილველად წარმოდგენილ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში შესატანი ცვლილებების დიდი ნაწილი ეხება კულტურის სფეროს, შესაბამისად, განათლებისა და კულტურის კომისიის აპარატმა კომისიის წევრებს აღნიშნულ დადგენილების პროექტთან ერთად, ასევე კომისიის აპარატის მიერ შემუშავებული შენიშვნები და რეკომენდაციები დაუგზავნა. დეპუტატის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება საბიუჯეტო პროგრამას „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი: 08 09), რაც მიზნად ისახავს აღნიშნული პროგრამის დახვეწასა და სრულყოფას პრაქტიკაში გამოვლენილი საკითხების ასახვის გზით.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ დადგენილების ცვლილების პროექტით ხდება თანამედროვე შემოქმედებით სახელოვნებო სფეროში მიმდინარე პროცესების ასახვა ნორმატიულ აქტში. დეპუტატმა ასევე მიაწოდა ინფორმაცია სხდომის მონაწილეებს, რომ გასულ წელს განათლებისა და კულტურის კომისიამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა ინიციატივა, რომელიც გულისხმობდა „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანას და სახელოვნებო მიმართულებების ნორმაშემოქმედებით პროცესში გადატანას. მისივე თქმით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ განიხილა სხვადასხვა საექსპერტო ჯგუფთან, მათ შორის, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის და სხვა სახელოვნებო ასოციაციების წარმომადგენლებთან და შესაბამისად, კომისიამ დადგენილების პროექტთან მიმართებით ჩამოაყალიბა შეჯერებული ცნებები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, არამედ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებისთვის.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, „კულტურის შესახებ“, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ და „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონებსა და „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესაბამის კოდებთან - „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი: 07 02 01), „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი: 07 04), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი: 07 05 01), „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 05), „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი: 08 09),

„ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 13) წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, განათლებისა და კულტურის კომისია სამუშაო ფორმატით განხილვის შედეგად, წარმოადგენს შემდეგ რეკომენდაციებს:

დადგენილების პროექტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ მუხლის მე-5 პუნქტისგან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელების დაყოვნება სახელმწიფოებრივი, ადგილობრივი ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების განხორციელებას შეაფერხებს ან/და შეუძლებელს გახდის. აღნიშნულ შემთხვევაში, სამსახური წერილობით მიმართავს კომისიის თავმჯდომარეს და წარუდგენს დაფინანსების მიმღები სუბიექტის დასაბუთებულ/მოტივირებულ განცხადებას, რის შემდეგაც, კომისიის თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას კომისიისთვის პროექტის წარდგენის მიზანშეწონილობის ან მიზანშეუწონლობის შესახებ.“

დადგენილების პროექტის მე-4 მუხლის მე-2^2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2^2. ამ მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თანადაფინანსება არ გაიცემა პირადი დანიშნულების მქონე ტექნიკის, ინვენტარის, მოწყობილობისა და სხვა ნივთებისთვის.“

დადგენილების პროექტის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ბ) საკონკურსო განაცხადი პროგრამის „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი: 08 09) ფარგლებში:

ბ. ა) საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა – საგამომცემლო საქმიანობის ფარგლებში, კულტურულ-შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობის მიზნით, დაფინანსებას ექვემდებარება: ქალაქ თბილისის ისტორიის, კულტურის, ურბანული არქიტექტურისა და კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი მონოგრაფიები, კატალოგები, ვიზუალური მასალა, კომიქსები, ქალაქ თბილისისა და თბილისელთა შესახებ შექმნილი მხატვრული ტექსტები და მემუარები. აღნიშნული პროგრამა არ ითვალისწინებს სასკოლო, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების, საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების, პოეტური და პროზაული კრებულების, მუსიკის სახელმძღვანელოებისა და ნოტების, ჟურნალ-გაზეთების, ალმანახის და სხვა პერიოდული გამოცემების დაფინანსებას;

ბ.ბ) დიზაინისა და ხალხური რეწვის განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის, ტექნოლოგიური ჯგუფების – ტექსტილი, კერამიკა, ბატიკი, ანაბეჭდი (პრინტი), ხეზე კვეთა, მინანქარი, მეტალი და საიუველირო ხელოვნება; მინის, ტყავის, ქვის მხატვრული დამუშავება, აღდგენა, განვითარება და პოპულარიზაცია; ფუნქციონალური ჯგუფების: აქსესუარის, ტანსაცმლის, სამკაულის, ჭურჭლის, ავეჯის, მუსიკალური საკრავის, იარაღის, სათამაშოს, სუვენირის წარმოების ხელშეწყობა;

ბ.გ) აუდიოვიზუალური ხელოვნების ხელშეწყობა – კინემატოგრაფიის, ექსპერიმენტული მუსიკის, ანიმაციის სფეროში კონკურსების და შემოქმედებითი პროცესების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;

ბ.დ) თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ხელშეწყობა – ქუჩის მხატვრობის, ფოტოგრაფიის, შემოქმედებითი ინსტალაციის, ურბანული და კონცეპტუალური ხელოვნების, ინოვაციურ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხელშეწყობა;".

დადგენილების პროექტის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ფინანსური გაანგარიშების/ხარჯთაღრიცხვის პუნქტებში მითითებული თანხების ცვლილება შესაძლებელია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საფუძველზე, პროექტის მთლიანი ბიუჯეტის არაუმეტეს 10%-ის ფარგლებში (გარდა ჰონორარებისა).";

დადგენილების პროექტის დანართი 2-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. ამ წესით განსაზღვრული დაფინანსების მიმღები სუბიექტები შეიძლება იყვნენ: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი არარეგისტრირებული კავშირები (გაერთიანებები), მათ შორის: უმაღლესი საგანმანათლებლო, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, ახალგაზრდული ცენტრები, სპორტული ორგანიზაციები, სპორტული ფედერაციები, სპორტული კლუბები, სპორტული ასოციაციები და სხვა სპორტული დაწესებულებები, საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციები, სტუდენტური თვითმმართველობები, სტუდენტური და ახალგაზრდული კლუბები, შემოქმედებითი და საინიციატივო ჯგუფები.";

დადგენილების პროექტის დანართი 2-ის მე-10 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დაფინანსების მიმღები სუბიექტის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში (მთლიანად ან ცალკეულ პუნქტებში) უცხოური ვალუტის (ლართან მიმართებით) სავარაუდო გაცვლითი კურსის მითითების შემთხვევაში, აღნიშნული სავარაუდო გაცვლითი კურსის გათვალისწინებით, სამსახურის მხრიდან დაფინანსების მიმღებ სუბიექტს ჩაეთვლება მის მიერ მოთხოვნილი საერთო თანხა ლარში და დაფინანსების მიმღები სუბიექტი ვალდებული იქნება, დააბრუნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში კონვერტაციის შედეგად მიღებული სხვაობის ოდენობის თანხა, რაზეც შესაბამისი ბანკიდან ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული სხვა საფინანსო ორგანიზაციიდან წარმოდგენილი უნდა იქნეს კონვერტაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სამსახურის შესაბამისი განყოფილებების მიერ გათვალისწინებული იქნება ორგანიზაციის მხრიდან განხორციელებული საბანკო ოპერაციების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი.";

დადგენილების პროექტის დანართი 2-ის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ღონისძიების დასრულების შემდგომ, არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღისა, დაფინანსების მიმღებმა სუბიექტმა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, სამსახურში უნდა წარადგინოს საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრების სამსახურსა და ორგანიზაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, აგრეთვე ინფორმაცია სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული შესრულების ანგარიშის ფორმის შესაბამისად.“

რეკომენდაციებისა და შენიშვნების წარმოდგენის დასასრულს, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ქვეყნის სხვა მუნიციპალიტეტებიც ასახავენ თავიანთ აქტებში თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შემოტანილ ნორმაშემოქმედებით პრაქტიკას.

საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ განსახილველი დადგენილების ცვლილების პროექტი მიზნად ისახავს, რომ აქტიურად მოხდეს სხვადასხვა სტუდენტური და ახალგაზრდული ჯგუფების დაფინანსება. დეპუტატის განმარტებით, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ნაწილში, არის ტექნიკური ცვლილებები, რომელსაც საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია დამატებით, ასევე, განიხილავს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიასთან ერთად.

სიტყვა გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს, ქალბატონ მაკა ნასრაშვილს, რომელმაც წარმოადგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. მისი განმარტებით, Covid-19-ის პანდემიამ, სხვა ჯგუფებთან ერთად, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კულტურის სფეროს წარმომადგენლებს, შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს დაფინანსების მიმღები სუბიექტების წრის გაფართოებას და თუ აქამდე საქალაქო სამსახურში განაცხადის წარდგენა შეეძლოთ მხოლოდ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, ცვლილების შედეგად მათ დაემატება რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური პირები. ასევე, დადგენილების ცვლილების პროექტით, პროგრამას „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი: 08 09) დაემატა 7000 ლარის ფარგლებში, თანადაფინანსებით, უძრავი აქტივის შეძენის შესაძლებლობა, რითაც ბენეფიციარები შეძლებენ სხვადასხვა ინვენტარის, დანადგარის ან ტექნიკის შეძენა;

ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების

თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სამუშაო ფორმატით იქნა განხილული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიასთან და საკითხის წარმდგენი ეთანხმება კომისიის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს.

ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა, ბატონმა ირაკლი გვილავამ აღნიშნა, რომ მოქმედი დადგენილებით გათვალისწინებული მექანიზმები დროში აფერხებდა სხვადასხვა ტიპის პროცედურების განხორციელებას ახალგაზრდული პროექტების დაფინანსების მიმართულებით, რაც წარმოდგენილი ცვლილებით აღმოფხვრილია.

საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჩაკვეტაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების ცვლილების პროექტი განხილება სამი კომისიის მიერ, რომელთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინება საკრებულოს სხდომას. დეპუტატმა, ასევე, დააზუსტა, რომ საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას არ აქვს არსებითი სახის შენიშვნა პროექტთან მიმართებით.

კომისიის წევრმა, ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა ყურადღება გაამახვილა დადგენილების პროექტის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტზე სადაც აღნიშნულია, რომ პროგრამა არ ითვალისწინებს სასკოლო, საუნივერსიტეტო, ზოგადსაგანმანათლებლო სახელმძღვანელოების, საბავშვო პოეზიის და პროზის კრებულის, ლექსების კრებულის, სანოტო კრებულის, ჟურნალ-გაზეთების, ალმანახის და სხვა პერიოდული გამოცემების დაფინანსებას. დეპუტატმა განმარტა, რომ დღეს მწერლები და გამომცემლობები უაღრესად დიდ გაჭირვებას განიცდიან. დეპუტატის თქმით, საქართველოს რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან ფინანსდება ისეთი გამოცემები, როგორებიცაა „ჭოროხი“, „ხორნაბუჯი“ და სხვა. შესაბამისად დაინტერესდა, თუ რატომ არ შეიძლება თბილისის მერიამ დააფინანსოს ჟურნალი „ცისკარი“, რომელსაც ნაწილობირივ აფინანსებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ან პოეტური და სხვა სახის კრებულები, ასევე, სანოტო კრებულები. ბატონი ვაჟას განმარტებით, მწერლებისა და კომპოზიტორების უმეტესობა სწორედ თბილისშია თავმოყრილი და მიზანშეწონილია მათი შემოქმედების გამოცემა, რომელიც ძალიან მცირე სახსრებს მოითხოვს თბილისის ბიუჯეტიდან.

პასუხად ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა აღნიშნა, რომ მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს არ აქვს უფლება დააფინანსოს პერიოდული გამოცემები და იგი არც არასდროს აფინანსებდა აღნიშნულ კატეგორიას, თუმცა ჟურნალი „ცისკარი“ მრავალი წელი ფინანსდებოდა თბილისის მერიის სარეზერვო ფონდიდან. საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის განმარტებით, დედაქალაქის მერია ვერ დააფინანსებს პერიოდულ გამოცემებს, რადგან ეს არ არის ერთჯერადი პროექტი, რასთან დაკავშირებითაც თბილისის მერიის საფინანსო სამსახურმა არაერთხელ მისცა რეკომენდაცია საქალაქო სამსახურს.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში იყო თბილისის მერიის ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის“ პროექტების განმხილველი კომისიის შემადგენლობაში და მიესალმება წარმოდგენილი დადგენილების პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებებს, ვინაიდან, მისი თქმით, კომისიაში ბევრი მდარე ხარისხის ნაწარმოები შედიოდა, რომელთა დაფინანსება და გამოცემა შეუძლებელი იყო. ქალბატონი მარიკას აზრით, თბილისში მდებარე გამომცემლობები ყოველთვის ცდილობენ მაღალი ხარისხის ნაწარმოებების გამოცემას, თბილისის მუნიციპალიტეტს კი უნდა ჰქონდეს პრიორიტეტული მიმართულებები განსაზღვრული. დეპუტატის თქმით, პროგრამის ფარგლებში, ძალიან საინტერესო პროექტები დაფინანსდა გასულ წელს, რომლებიც შინაარსობრივად დედაქალაქს უკავშირდებოდა.

კომისიის თავმჯომარემ აღნიშნა, რომ წინამდებარე მუხლში მითითებულია პროგრამა „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი: 08 09), რომელიც ხელს უწყობს კულტურული ცხოვრებისა და შემოქმედებითი საქმიანობის წარმართვას თბილისში. თბილისის მერიას, დედაქალაქის ბიუჯეტის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, არც შეიძლება ჰქონდეს ამბიცია, ითავსებდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფუნქციებს. ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აქვე აღნიშნა, რომ დედაქალაქის მერიამ არაერთი ძალიან საინტერესო გამოცემა დააფინანსა.

ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ პერიოდული გამოცემების დაფინანსებასთან დაკავშირებით არსებობს სამართლებრივი პრობლემაც; წლების წინ საქართველოს კონტროლის პალატამ მკაცრი შენიშვნა მისცა დედაქალაქის მერიას საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებით. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ბეჭდვითი საქმიანობა სახელმწფო ტენდერის მეშვეობით უნდა განხორციელდეს, რადგან თბილისში ბევრი სტამბაა და მერია თვითნებურად ვერ აირჩევს მათგან ერთ კონკრეტულს; ამასთან წიგნი, რომელიც ტენდერის მეშვეობით დაიბეჭდება, არის სახელმწიფოს ბალანსზე, რომელსაც მისი ავტორი ვერ გაყიდის, ხოლო ავტორთა ძირითად ნაწილს კი ნაწარმოების/წიგნის დაბეჭდვა სურს მერიისგან შემდგომ თვითონ რეალიზაციის მიზნით. ამ გარემოებათა გამო, პერიოდული გამოცემების თბილისის მერიის მიერ დაფინანსება თავისთავად აზრს კარგავს.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის შემადგენლობას შემოემატა ბატონი ვაჟა ოთარაშვილი ღირსეული მამულიშვილი და დამსახურებული მწერალი. დეპუტატმა საკითხთან მიმართებით დამატებით აღნიშნა, რომ თბილისის მერია მხარში უდგას მწერლობისა და შემოქმედების განვითარებას, ნაწარმოებების პოპულარიზაციის, კონკურსებისა და ფესტივალების ჩატარების გზით და არა უშუალოდ პერიოდული გამოცემების დაფინანსებით. კომისიის თავმჯდომარემ ასევე, განმარტა, რომ თბილისის მერია აფინანსებს წიგნის ფესტივალებს, რის შედეგადაც შესაძლოა გამოიცეს შემაჯამებელი ნაბეჭდი წიგნი, თუმცა უშუალოდ პერიოდული კრებულების გამოცემა არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დადგენილების პროექტით.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, გიორგი ჩაკვეტაძემ, მაკა ნასრაშვილმა, ირაკლი გვილავამ, ვაჟა ოთარაშვიმლა, მარიკა დარჩიამ, ბექა დავითულიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

მომხრე _____ 6

წინააღმდეგი _____ 0

თავი შეიკავა _____ 1 (კომისიის წევრმა, ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა)

განათლებისა და კულტურის კომისიამ დადგენილების პროექტის განხილვისა და მსჯელობის შედეგად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მხარს უჭერს მის გატანას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - ა(ა)იპ თბილისის მუზეუმების გაერთიანების საქმიანობის ანგარიში საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში იქნა განხილული.

ანგარიშის მოსმენა მისასალმებელი სიტყვით გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობა თბილისის სავიზიტო ბარათია, რომელსაც განსაკუთრებული გაფრთხილება სჭირდება. ბატონმა თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დედაქალაქის მუზეუმების ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს გაწეული საქმიანობისთვის და ასევე, ხაზი გაუსვა თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის აქტიურ ჩართულობას და პროექტს - ,,თბილისის მუზეუმების კვირეული“, რომლის ფარგლებშიც სკოლების მოსწავლეებს თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები სხვადასხვა მუზეუმში

მასპინძლობენ. ბატონი გიორგის თქმით, მუზეუმების გაერთიანების ეფექტური მუშაობის შედეგად, მუზეუმების ტურისტული პოტენციალის გამოყენება გახდა შესაძლებელი.

თბილისის მერის მოადგილემ, ბატონმა ანდრია ბასილაიამ აღნიშნა, რომ განახლებული მუზეუმები თანამედროვე სტანდარტებითაა წარმოდგენილი და ფართო აუდიტორიის ინტერესებზეა მორგებული.

კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ განათლებისა და კულტურის კომისიის რეკომენდაციას თბილისის მუზეუმების სისტემურ-კომპლექსური მოდერნიზება წარმოადგენდა. მისი თქმით, მუზეუმს, როგორც ხიდს წარსულსა და მომავალს შორის, ყველა დროებაში სჭირდებოდა სწორი ხელმძღვანელობა. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და გართობის ჭარბი მრავალსახეობის პირობებში კი მას განსაკუთრებით კომპლექსური მართვა სჭირდება. მოქმედ ხელისუფლებას თბილისის მუზეუმებში საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ 2015 წელს ჩატარებულმა კვლევამ და ანალიზმა აჩვენა დიდი აცდენა იმ საუკეთესო მოდელისგან, რომლითაც ევროპული თუ ამერიკული მუზეუმები ზრუნავენ საკუთარ ექსპოზიციებზე, იზიდავენ მნახველს და სამეცნიერო-შემეცნებით, კულტურულ ცენტრებად ყალიბდებიან; თუმცა 2016 წლიდან დღემდე თბილისის მერიამ, მუზეუმების გაერთიანებამ და მისმა ხელმძღვანელობამ ფუნდამენტური რეფორმების გატარება შეძლეს. ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა მადლობა გადაუხადა მუზეუმის ყველა ღვაწლმოსილ კურატორსა თუ თანამშრომელს, რომელთა საქმისადმი ერთგულებამაც თბილისს დღემდე შემოუნახა უნიკალური სახლ-მუზეუმები.

ა(ა)იპ თბილისის მუზეუმების გაერთიანების საქმიანობაზე ისაუბრა გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა, ქალბატონმა ნინო სანადირაძემ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა გასული პერიოდის განმავლობაში დედაქალაქის მუზეუმებში განხორციელებულ ცვლილებებსა და რეფორმებზე, მათ შორის, დასრულებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე. მისი თქმით, რეაბილიტაცია-კონსერვაციის პროცესი 2016 წლიდან მოყოლებული 4 წელია შეუჩერებლად მიმდინარეობს. ქალბატონმა ნინომ ისაუბრა მუზეუმების გაერთიანების განახლებულ ვებგვერდზე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სტანდარტებზე და მომდევნო 4 წლის სამუშაო სტრატეგიაზე. ანგარიშის ფარგლებში, პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო მუზეუმების გაერთიანების ახალი, რიგით მეშვიდე გამოცემა - „ილია და თბილისი“ და სერია „თბილისის“ მეორე წიგნი.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ მადლობა გადაუხადა ა(ა)იპ თბილისის მუზეუმების გაერთიანების გენერალურ დირექტორს, ქალბატონ ნინო სანადირაძეს, ასევე მუზეუმების თანამშრომლებს მათი საქმიანობისთვის.

განათლებისა და კულტურის კომისიამ ცნობად მიიღო ა(ა)იპ თბილისის მუზეუმების გაერთიანების საქმიანობის წარმოდგენილი ანგარიში.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

გიორგი ტყემალაძემ, ანდრია ბასილაიამ, თამარ ტალიაშვილმა, ნინო სანადირაძემ, მარიკა დარჩიამ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი